



# შირაქი

## SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან  
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№6(9.916)  
14-21 მარტი 2020 წელი  
ფასი: 50 თეთრი  
ყოველკვირეული გამოცემა

### მოქალაქეთა საყურადღებოდ!

კორონავირუსთან დაკავშირებით, მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად, მუნიციპალიტეტებში შეიზღუდება გარკვეული სერვისების მიწოდება, ასევე აღარ გაიმართება კომისიების ან საბჭოს სხდომები, რასაც მოქალაქეები ესწრებიან; კერძოდ: მიწის ლეგალიზაციის განაცხადების მიღება და ამავე საკითხზე კომისიის სხდომების ჩატარება; იურიდიული კონსულტაციების განწევა.

ამავდროულად, არ შეჩერდება მოსახლეობისთვის სოციალური და ჯანდაცვის კუთხით, მომსახურების განწევა და მუნიციპალური სერვისის - უფასო სასადილოების ფუნქციონირება. მუდმივ რეჟიმში გაგრძელდება ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულება. იმისათვის, რომ კვლავინდებურად სრულფასოვნად მიიღოთ მუნიციპალური სერვისები, დაგვიკავშირდით:

მერის მისაღები 595 992196  
მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური 599 855900  
სივრცითი მონაცემების და არქიტექტურის სამსახური-599 53 61 38  
ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური- 599855839  
იურიდიული სამსახური 599 8558 80  
ელ.ფოსტა:dedoplistskaro\_region@yahoo.com

აქვე გაცნობებთ, რომ მუშაობას გააგრძელებს ჯანდაცვის და სოციალური სამსახურები, დასუფთავების სამსახური და სათნოების სახლი. ასევე არ შეჩერდება და აქტიურ რეჟიმში გაგრძელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები.

**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია მოგიწოდებთ, გაუფრთხილდეთ საკუთარი და თანამოქალაქეების ჯანმრთელობას და დაიცვათ რეკომენდაციები, რომელთაც კომპეტენტური ორგანოებისგან იღებთ.**

## მუნიციპალიტეტში პრევენციული ღონისძიებები ტარდება



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, კორონავირუსის პრევენციის მიზნით, სადებიზინფექციო ღონისძიებები ტარდება. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად, სადებიზინფექციო ხსნარებით მუშავდება ასევე მუნიციპალიტეტის სააღმზრდელო დაწესებულებებიც.

## ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილმა, მერის მოადგილე დავით ფხოველიშვილმა და საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ხუციშვილმა 12 მარტს, ზემო ქედში, ე.წ. „გერმანელების უბნის“ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს.

ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც ორ ეტაპად მიმდინარეობდა, დასკვნით ეტაპზეა და ის უახლოეს მომავალში დასრულდება.

სამუშაოების ფარგლებში 1 770 მ გზის მონაკვეთზე დაიგო ასფალტის საფარი, გაკეთდა მიერთებები და ეზოებში შესასვლელი. პროექტის საერთო ღირებულება 637 553 ლარია.

გარდა ამისა, სახანძრო-სამაშველო სამსახურთან მესერის რეაბილიტაციაც დაიწყო.



### დედოფლისწყაროს ინფიცირებული არ ჰყავს!

83.7



# ეკატერინე ბიკარაძე - „მზადაა სცენარი“

ჯანდაცვის მინისტრი, ეკატერინე ბიკარაძე დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, ამირან ბაშჩერაძის განცხადებას გამოეხმაურა, რომელმაც აღნიშნა, რომ ახალი კორონავირუსით გამოწვეულ პანდემიასთან დაკავშირებით სამი სცენარია მზად.

მინისტრის განმარტებით, პირველი სცენარი გულისხმობს ინფიცირებულ პაციენტთა სიმცირეს, მეორე სცენარი რამდენიმე ასეულ პაციენტს, ხოლო ბოლო სცენარში დაახლოებით 400-მდე მძიმე პაციენტი განიხილება.

„სამი სცენარი ნიშნავს იმას, როდესაც ჩვენ ძალიან მსუბუქად გადავივლით ამ პანდემიას საქართველოში და ინფექციის გავრცელება, პაციენტების რაოდენობა ნაკლები იქნება, რაც შეიძლება შედარებით ხანგრძლივი პროცესი იყოს.

ასევე არის საშუალო სცენარი, რომელიც შეიძლება 12 კვირის განმავლობაში გაგრძელდეს, რაც ქვეყანაში რამდენიმე ასეულ პაციენტს გულისხმობს. არსებობს კიდევ უფრო რთული სცენარი, როდესაც შეიძლება გვყავდეს დაახლოებით 400-მდე უკვე მძიმე პაციენტი, რომლის მართვაც, რა თქმა უნდა, ადვილი არ იქნება, მაგრამ ამის მიუხედავად, ჩვენი ინფრასტრუქტურა და ასევე საექიმო პერსონალი მომზადებული გვყავს იმისთვის, რომ ამ საგანგებო მდგომარეობაში შესაბამისად შევძლოთ მუშაობა. ამ ეტაპზე შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ, მაგრამ არ გვაქვს საფუძველი, მოვლენდეთ და მობილიზებული არ ვიყოთ“, - განაცხადა ტიკარაძემ.

## ბანკების შეთავაზება მომხმარებლებს

„თიბისი“ ბანკი ყველა ფიზიკურ პირს, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნეს მსესხებელს, სესხების შენატანზე სამთვიან საშელავათო პერიოდს უწესებს. როგორც კომპანიის განცხადებაშია ნათქვამი, ბანკის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ყველა ფიზიკურ პირს, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნეს მსესხებელს და ასევე ყველა ბიზნესს, რომელიც ტურისტულ, კვების და ისეთ ინდუსტრიაში საქმიანობს, რომელიც საზოგადოებრივი თავშეყრით ხასიათდება, თავაზობს სესხების შენატანზე სამთვიანი საშელავათო პერიოდი. საშელავათო პერიოდი შეეხება სესხის როგორც ძირს, ისე პროცენტს.

სესხებზე საშელავათო პერიოდის გადაწყვეტილება მიიღო სპარტაკ-ს ბანკმა. ბანკი კორონავირუსის პრევენციისთვის თავშეყრის ადგილებში ხალხის ნაკადის შემცირების მიზნით საქართველოს ბანკის მომხმარებელ ფიზიკურ პირებს სასესხო ვალდებულებებზე სამთვიან საშელავათო პერიოდს სთავაზობს. ბანკმა სესხები მაისის თვემდე გადაავადა.

„ქართუ“ ფონდი, თავის მხრივ, გამოთქვამს მზადყოფნას, ნებისმიერი საჭიროების, ნებისმიერი შესაძლო ფინანსური თუ სხვა სახის დანაკლისის შემთხვევაში, საკუთარი სახსრებით შეავსოს ეს დანაკლისი და სახელმწიფოს გამოუყოს იმ მოცულობის ფინანსური რესურსი, რაც საჭირო იქნება ვირუსის გავრცელების საფრთხისგან საზოგადოების მაქსიმალურად დასაცავად.

„ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს ბევრი გამოწვევა დაუძლევიან და დარწმუნებულები ვართ, ცივილიზებული მსოფლიოს კვალდაკვალ, ერთმანეთის თანადგომით, ამ გამოწვევასაც წარმატებით გავუმკლავდებით“-ნერია ბანკის განცხადებაში.

# საჯარო დაწესებულებაში საქმიანობის განსაკუთრებული ღონისძიებები განისაზღვრა

საქართველოს მთავრობამ, კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, საჯარო დაწესებულებაში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ ბანკარგულაბა გამოსცა, - ამის შესახებ ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურმა განაცხადა.

უწყების ინფორმაციით, განკარგულების საფუძველზე, კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად და მის წინააღმდეგ ერთიანი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, სამსახურში ორი კვირის განმავლობაში არ უნდა გამოცხადდეს საჯარო დაწესებულების ის თანამშრომელი, რომელიც განკარგულების ძალაში შესვლამდე ბოლო შვიდი დღის განმავლობაში, ძალაში შესვლის დროისთვის ან შემდეგ იმყოფებოდა კორონავირუსის მალაღობის გავრცელების ქვეყნებში - ჩინეთში, სამხრეთ კორეაში, იტალიაში, ირანში, ავსტრიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, და ესპანეთში, ან მოემგზავრება ამ ქვეყნების გავლით საქართველოში. განკარგულების საფუძველზე, აღნიშნულმა პირმა ორკვირიანი პერიოდი უნდა გაატაროს თვითიზოლაციის წესების დაცვით. განკარგულების მიხედვით, ორკვირიან თვითიზოლაციას ქვემდებარება ასევე მოქალაქე, რომელსაც კონტაქტი შეეხოდა იმ პირთან, რომელსაც დაუდასტურდა ახალი კორონავირუსი. მოქალაქე ვალდებულია, სამსახურში გამოუცხადებლობის მიზეზისა და რისკგულში შემავალ პირთან კონტაქტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს დამსაქმებელი დაწესებულების უფლებამოსილ სამსახურს, ან თანამდებობის პირს, გადავიდეს თვითიზოლაციის რეჟიმში და შესაძლებლობის შემთხვევაში სამუშაო შესარულოს დისტანციურად, უშუალო ხელმძღვანელის მიერ გაცემული დავალებების შესაბამისად.

საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელებმა უნდა უზრუნველყონ მათ დაქვემდებარებულ საჯარო დაწესებულებებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში ჯანმრთელობის დაცვის პროტოკოლების, რეკომენდაციებისა და ჰიგიენის წესების დაცვა. განკარგულების მიხედვით, იზოლაცია სამსახურებრივი მივლინებები, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. დასაქმებულმა პირებმა მწვავე რესპირაციული დაავადების სიმპტომის არსებობის შემთხვევაში უნდა მიმართონ ექიმს, აგრეთვე აცნობონ დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ სამსახურს, ან თანამდებობის პირს, თუ

საჭიროა თვითიზოლაციის რეჟიმში გადასვლა. ეპიდემიური საფრთხის შემცირებამდე იზოლაცია დაწესებულების მიერ საჯარო ღონისძიებების ორგანიზება გარეშე პირთა მონაწილეობით; დაწესებულების ხელმძღვანელებმა უნდა უზრუნველყონ დაწესებულებებში გარეშე პირთა დამკვირვება და გადაადგილების მაქსიმალური შეზღუდვა-რეგულირება.

საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელებმა უნდა განსაზღვრონ დაწესებულების თანამშრომლების ის ნაწილი, რომელიც დროებით გადავა დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე. კერძოდ, ის თანამშრომლები, რომელთა საქმიანობაც განსაკუთრებულად არ საჭიროებს სამუშაო ადგილზე ყოფნას და დისტანციურად შესრულებენ სამუშაოს.

განკარგულებაში აღნიშნულია, რომ დისტანციურ სამუშაო რეჟიმში გადასვლა არ ნიშნავს სამუშაო საათების შემცირებას ან თანამშრომელთა შევსებაში ყოფნას. საჭიროების შემთხვევაში, დისტანციურ სამუშაო რეჟიმში გადასული თანამშრომელი სამსახურში მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ, არა უგვიანეს 1 საათისა უნდა გამოცხადდეს. ცნობად იქნება მიღებული, რომ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირს უნარჩუნდება შრომის ანაზღაურება. საბიუჯეტო ორგანიზაციებში, დაწესებულებებში და უწყებებში უნდა უზრუნველყონ, ამ განკარგულების გათვალისწინებით, შიდაუწყებრივი სხვა დამატებითი ღონისძიებების განსაზღვრა, ასეთი საჭიროების შემთხვევაში. განკარგულების მიხედვით, რეკომენდაცია ეძლევა ყველა პირს, მათ შორის, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, იხელმძღვანელონ ამ განკარგულებით გათვალისწინებული დებულებებით. მანამდე საქართველოში ჩინეთთან კორონავირუსის გამო პირდაპირი ფრენები შეწყვიტა.

ბოლო მონაცემებით, ჩინეთში კორონავირუსით გარდაცვლილთა რაოდენობა 132-მდე გაიზარდა, ინფიცირებულთა რიცხვი კი 6000-ს აღწევს. 21 იანვარს ჩინეთმა დაადასტურა, რომ კორონავირუსი გადამდებია. მომხდარის გამო ქვეყნის ორ ქალაქში კარანტინი გამოცხადდა. ჩინეთის ხელისუფლებამ პეკინში ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გააუქმა.

ჩინეთში საქართველოს საელჩოში კი ცხელი ხაზი მოქმედებს. საქართველოში ვირუსის გავრცელების შანსი მინიმალურია.

# კორონავირუსის გავლენა სამომხმარებლო ბაზარზე

კორონავირუსის აფეთქებამ, შესაძლოა, ეკონომიკური ზრდა მთლიანად მსოფლიოში შეამციროს. საფინანსო ინსტიტუტის პროგნოზით, მთლიანი შიდა პროდუქტი, სავარაუდოდ 0.1-0.4%-ით შემცირდება. ვირუსი რომ გამოწვევას მთელ მსოფლიოში, ამაზე ბევრს ვსაუბრობთ და ისიც ფაქტია, რომ „კოვიდ 19“ არაერთი სექტორისთვის თავსატეხედ იქცა. მსოფლიო ეკონომიკა 2020-ში მნიშვნელოვნად გადაეწყობა, ცვლილებები ლოკალურადაც საგრძნობია და ამ შედეგებით მიკრო სივრცეზე გავლენა გლობალურ გადამწყობასაც ექნება. ამაზე მხოლოდ ჩინეთის მხრიდან დაწესებული შეზღუდვებიც მოწმობს, რომელიც თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე, ფაქტია, რომ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ძვრებს გამოიწვევს.

ის, რომ ქვეყანაში დღეს პანიკის არა, მაგრამ განსაკუთრებული სიფრთხილის და ზომების მიღების საფუძველი გვაქვს, ეს უკვე ფაქტია. პანიკა რომ არ არის კარგი მეგზური, ამაზე ყველა ერთად ვთანხმდებით, თუმცა, არც ის არის სასიამოვნო, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი სრული სიმშვიდით უყურებს მოვლენებს და ამბობს, რომ საერთოდ ვერ გრძნობენ საფრთხეს. პირიქით, ის ძალიან ხელოვნური და მთავრობის მიერ ყურადღების გასაფანტად მიმართული ჰგონიათ,

რაც უკვე მეტისმეტია და ჩვენი საზოგადოების დაბალ თვითშეგნებას (რბილად რომ ვთქვათ და არ გამოვიყენოთ სიტყვა „განვითარება“) უსვამს ხაზს.

რა ხდება დღეს ჩვენს აგრარულ ბაზარზე, სხვადასხვა საეჭარო ობიექტებზე, რამდენად მომატებულია ტემპერატურა და გრძნობს თუ არა საზოგადოება მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, რა შეიცვალა ამ ერთ კვირაში თითოეული მათგანის ცხოვრებაში, ამ ყველაფრის ადგილზე გასაცნობად ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩვენს თანამოქალაქეებს შევხვდით და თითოეული მათგანის პირადი ემოციის ფონზე წარმოთქმული სიტყვები გადმოვიტანეთ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. ჩვენ ნამდვილად არ ვგრძნობთ არანაირ საფრთხეს, და საერთოდ, ხელოვნურად გაბეჭდილი პრობლემა გვგონია, ჯერჯერობით ფასი უცვლელი გვიდევს ყველა პროდუქტზე, არც ვალუტის კურსის გაზრდამ იმოქმედა ჩვენს ფასებზე, რადგან პროდუქტი გასულ კვირას გვაქვს ჩამოტანილი. ვნახოთ, ამ კვირაში რა ფასები დაგვხვდება ადგილზე და იმის მიხედვით ვიმოქმედებთ“-აცხადებს მოვარჯეთა ერთი ჯგუფი.

ასეთივე მშვიდი სიტუაციაა სხვადასხვა პროფილის მქონე მაღაზიებში, სადაც ფასები არ მომატებულა,

თუმცა ძალიან ჩივიან მყიდველის სიმცირეს და შემოსავლის ნაკლებობას. „ჩვენს სფეროში (ტანსაცმლის და ფეხსაცმლის შერეული მაღაზია) დიდი ხანია არ გვყავს საკმარისი მყიდველი, მოსახლეობა ძალიან შეცოტავდა რაიონში. აქედან გამომდინარე, ახლა კი არა, დიდი ხანია ტყუილად ვსხედვართ, ნეტავ ნისიები ამოვიღოთ და თითო-ოროლა რაღაც გავყიდოთ, რომელ მოგებაზეა საუბარი, ხალხი ტანსაცმელს უკვე ნაკლებად ყიდულობს, ყველა პირველადი მოხმარების საგნებზეა გადასული“-გულდაწყევით გვიყვებიან მაღაზიის მენეჯერები.

შედარებით უკეთესად არის საქმე ქიმიური ნივთიერებების შემცველი პროდუქციის რეალიზაციის კუთხით. ჩვენი საზოგადოება, უნდა ითქვას, რომ ზედმინევენთ პასუხისმგებლობით ეკიდება პირადი და საყოფაცხოვრებო ჰიგიენის საკითხებს და გაჭირვება-შეძლებულობის გამორიცხვით, თითქმის ერთნირად მოიხმარს ამ პროდუქციას, რაც დღესდღეობით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ვირუსის დამარცხების მიმართულებით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ბოლო დღეებში სოციალურ ქსელებში არაერთხელ გაიყვარა ჩვენი იტალიაში მცხოვრები თანამე-



მაულებების მხრიდან, იქ არსებულ ნაკლებად ჰიგიენურ სიტუაციებზე, ნამდვილად საყურადღებოა არსებული მიდგომები. მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად დავიცვათ როგორც პირადი ჰიგიენა, ასევე გავუფრთხილდეთ და ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში ვიზრუნოთ ირგვლივმყოფებზეც.

დასასრულს, დღეს, როდესაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულია პანდემია, როგორც არასდროს, ძვირფასია თითოეული ადამიანის სიცოცხლე, როგორც არასდროს გვჭირდება ერთმანეთის თანადგომა, სახელმწიფოს თანადგომა და სრული კონსოლიდაციით ყველა პრობლემის ერთობლივი ძალებით გადალახვა.

ელზა ხარაშვილი



# იტალია-მსოფლიო კულტურის ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი უმცირესობა

„ვეჭვობ, ვინმემ იმ სიძლიერით შესძლოს ამ სურათის აღწერა და გადმოცემა ისე, რა შთაბეჭდილებასაც შეერთებული ბუნების და ხელოვნების ეს სურათი ნახვისას ახდენს“... ეს სიტყვები ეკუთვნის ალექსანდრე ყაზბეგს, რომელიც მან პეტერბურგში, საზაფხულო დარბაზის წინ მდებარე ბაღის „ერთი კუნძულის“ აღწერისას მისი წყალვარდნილების, შადრევნების, ბრინჯაოს ქანდაკებების მიყრილ-მოყრილი ხავსმოკიდებულის დიდრონის ქვების, კენეროებით ცას მიბჯვნილი ხეების და სხვა საოცრებათა აღწერისას, დასკვნის სახით, წარმოთქვა. სწორედ ასეთი განცხადება დაამუშავა იტალიაში მოგზაურობის შემდეგ. ვგრძობდი მხოლოდ უდიდეს ალტაცებს და ბედნიერებას, რომ ჩემს ასაკში, მომცა საშუალება, ეს უდიდესი სიამოვნება მიმელო. ძალიან ძნელია, სიტყვით გადმოსცე ის, რაც თვალმა ნახა და გონებამ აღიქვა, მით უმეტეს, ერთ საგაზეთო სტატიაში. თუმცა, შევცდები, ძირითადი აქცენტები მაინც მივითხრო მკითხველამდე და გავეუღვიო მას ამ საოცარი ქვეყანა-მუზეუმის ნახვის ცხოველი ინტერესი. მარტო ინტერესი და სურვილი დიდი ბედნიერება არ არის, მთავარია მისი განხორციელების გზები და საშუალებები, – გაიფიქრებს მკითხველი და მართალიც იქნება. გულდასაწყვეტია, რომ ამ ერთი ხელისგულისოდენა ქვეყანას, რომლის მოსახლეობა 3 მილიონსაც კი ძლივს შეადგენს, არ გამოუჩნდა ისეთი მთავრობა, რომელიც უმუშევრობას და ამ ნიადაგზე გაუსაძლის სიღარიბეს რაიმეს მოუხერხებდა. ვერავის ვაჯერებდი, რომ ჩვენთან პენსიონერი, რამდენიც გინდა სამუშაო სტაჟი და დამსახურება ჰქონდეს, დაახლოებით 75 დოლარის ექვივალენტ 220 ლარს ლეზლობს ყოველთვიურად, შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარი (თუ მეტი არა), უმუშევარია და მოხუცი პაპა-ბებიის თუ მშობლის პენსიის ამარა დარჩენილი. ცნობისთვის ვიტყვი, რომ იტალიაში პენსია 2000 ევროს შეადგენს (ყველა ანაზღაურება ამ ქვეყანაში ევროს), რასაც ემატება დანამატი დამსახურების მიხედვით, შეღავათიანი სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პაკეტი და კიდევ სხვა. ჩვენი გადასახედოდან საჭმელ-სასმელი, ტყავის თუ ტექსტილის მაღალხარისხიანი პროდუქცია და თვით ელემენტალური სუვენირებიც კი, ჩვენთვის იმდენად ხელმიუწვდომელი იყო, რომ ლარზე გადაანგარიშებისას გული გვიკვებოდა, რადგან 1 ევრო 3,5 ლარს უდრიდა და 10-15 ევრო მიწმალური ფასი იყო წვრილმანი სუვენირებისაც კი, რომელიც ჩვენთვის უკვე 40-50 ლარი გამოდიოდა. ეს მცირე ეკონომიკური შედარება იმიტომ მოვიყვანე, რომ დიდ სიამოვნებასთან ერთად ბევრი გულსწყვეტაც განვიცადე ამ ორი ქვეყნის შედარებისას როგორც თანამედროვე სამოქალაქო და საყოფაცხოვრებო სექტორში, ასევე ისტორიული წარსულის შენახვასა და დღევანდელობამდე მოტანის საქმეში. უდიდესი კულტურული თუ მატერიალური სიმდიდრეა დაფიქსირებული ამ ქვეყანა-მუზეუმში, სადაც ხელოვნება-გოგმანებენ და ინარჩუნებენ ეპოქალურ სინამდვილეს და სიდიადეს. ჩვენ კი მინის ლიფტი მივაშენეთ გელათს?! (უფალო, შეგვიხსენებ!)  
 მოდი, ამ წილისგულზე თავი დავანებოთ და უფრო მარტივად გავყვით იმ სამარშრუტო ხაზს, რომელიც გავიარეთ. საქმე კი ასე დაიწყო: იანვრის ბოლოს, ჩემს დაბადების დღეზე, ჩემმა შვილმა, მაგდა პოპიაშვილმა და მისმა მეუღლემ ირაკლი მელაშვილმა მოულოდნელი საჩუქარი გამიკეთეს და იტალიის ერთ-ერთი უდიდესი ტურისტული საგზაო დასახლება ჩაუქრეს. ჩემთან ერთად ანალოგიური საჩუქარი წილად ერგო ჩემს დას-მეორე საჯარო სკოლის ბიოლოგიის პედაგოგს გუნდარა ღორაშვილს.  
 და აი, ჩვენ რომ ვართ. მისი ისტორია 2,5 ათასწლიურ მეტს მოიცავს, რომელიც მითოლოგიის თანახმად ქალაქი დაარსდა ძველი ნელთალიცხვით 753

წელს, თუმცა, იგი ბევრად უფრო ადრე იყო დასახლებული, რის გამოც რომი არის ერთ-ერთი უძველესი მუდმივად დასახლებული ქალაქი ევროპაში. ქალაქი მდებარეობს აპენინის ნახევარკუნძულის ცენტრალურ-დასავლეთ ნაწილში მდინარე ტიბრის ნაპირზე. 1.285 კვადრატულ კილომეტრზე გადაჭიმული ქალაქი 2.9 მილიონი მცხოვრებით ევროკავშირში სიდიდით მეოთხე ადგილზეა. რომს გააჩნია გლობალური ქალაქის სტატუსი. იგი რიგით მეორეა მსოფლიოში, რომს გააჩნია გლობალური ქალაქის სტატუსი. იგი რიგით მეორეა მსოფლიოში, რომს გააჩნია გლობალური ქალაქის სტატუსი. იგი რიგით მეორეა მსოფლიოში, რომს გააჩნია გლობალური ქალაქის სტატუსი. იგი რიგით მეორეა მსოფლიოში, რომს გააჩნია გლობალური ქალაქის სტატუსი.



რომი

წელს, თუმცა, იგი ბევრად უფრო ადრე იყო დასახლებული, რის გამოც რომი არის ერთ-ერთი უძველესი მუდმივად დასახლებული ქალაქი ევროპაში. ქალაქი მდებარეობს აპენინის ნახევარკუნძულის ცენტრალურ-დასავლეთ ნაწილში მდინარე ტიბრის ნაპირზე. 1.285 კვადრატულ კილომეტრზე გადაჭიმული ქალაქი 2.9 მილიონი მცხოვრებით ევროკავშირში სიდიდით მეოთხე ადგილზეა. რომს გააჩნია გლობალური ქალაქის სტატუსი. იგი რიგით მეორეა მსოფლიოში, რომს გააჩნია გლობალური ქალაქის სტატუსი. იგი რიგით მეორეა მსოფლიოში, რომს გააჩნია გლობალური ქალაქის სტატუსი. იგი რიგით მეორეა მსოფლიოში, რომს გააჩნია გლობალური ქალაქის სტატუსი.

მოვლის და სწორად გამოყენების სტრატეგია და სწორედ რომ, უპირველესი შემოსავლის წყაროდ ტურიზმი აქცია. როდესაც რომის ქუჩებში დადიხარ ნაკეზად გრძობ, რომ ოცდამეერთე საუკუნეა. შენ რენესანსის ეპოქაში დაბიჯებ და თითოეული შენობა, ძეგლი, ეკლესია-მუზეუმი, თითოეული ჩუქურთმაც კი იმ სიდიდით გავსებს, რა სიდიდითაც შეიქმნა იგი საუკუნეების წინ. ქალაქში ვერსად შეხვდებით ასფალტს, მაღლივ შენობებსა და ცათამბჯენებს, აქ ყველაფერი ისევე კლასიკური ხასიათს ატარებს, ქუჩები მოკირწყლულია ქვაფენილით, ზოგადად იტალიისთვის და რომისთვისაც დამახასიათებელი ქუჩების დატოტვილი წყობა, როდესაც ერთი ძირითადი შენობით იწყება და ორივე ქუჩა ერთდროულად თვალწინ გიშლის უამრავ თვალისაამებელ სანახაობას, მოედნები თავისი განუმეორებელი მადრევენებით, ქანდაკებებით, კომპოზიციით...  
 აი, ისინიც: ეს ტრევის შადრევანი, რომის ყველაზე ღირსშესანიშნავ სანახაობათა შორის უპირველესი, შთაბეჭდავი შადრევანი, რომელიც სავსეა უნიკალური სკულპტურული ნამუშევრებით, ძეგლებით, წყალვარდნილებით, შემოფარგლულია მოაჯირით და თითქმის მთელ მოედანს ავსებს. ის პოლის სასახლეზეა მიყრდნობილი და თავისი სიდიდით მნახველზე ნარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. მის გარშემო განთავსებული სკამებზე საათობით სხედან ტურისტები თუ ადგილობრივები და წყლის საამურ რაკრასა და ჩხრიალში მშვიდდებიან. ნასვლისას აქ ხელუკუშა იხვიან ხურდა ფულს, რათა კვლავ მიეცეთ საშუალება აქ დაბრუნდნენ და დატკბნენ ხელოვნების საოცარი კომპლექსით.  
**ვენეციის მოედანი და ვიციანი** რომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზაჯვარედინია, ის ბრწყინვალე სანახაობაა, რომელსაც მეფე ვიქტორ ემანუელ მეორე ის პატივსაცემად აღმართული მონუმენტი ამშვენებს. მოედნის გარშემო უბრწყინვალესი არქიტექტურით გამორჩეული შენობები, რომლებიც ისე მიჯრით ჩამდგარან მწყობრში, რომ ერთ მთლიან საოცრებად შეკრულან. სწორედ ვენეციის მოედანზე 2 ივნისს საზეიმოდ აღინიშნება რესპუბლიკის დღე, ხოლო ახალი წლის ღამეს აქ ეწყობა კონცერტები, ფოიერკები და სხვა გასართობი ღონისძიებები.  
**რომის ფორუმი და პალატინი** - ძველი რომის საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრი, სადაც თავმოყრილია ყველაზე მნიშვნელოვანი ნაგებობები, რომელიც დღეს ნანგრევებადაა ქცეული და სწორედ ამ ნანგრევებსა და ჯერ კიდევ ფეხზე მდგარ თაღებსა და სვეტებშია დავანებული წარსულის სიდიადე და სიძლიერეც. ის გამორჩეულად ლამაზია და ისიც. აქვე, ახლოში, ქვაფენილის შედმართს შეუყვებით და თქვენ კაპიტოლიუმის ტერიტორიაზე ხართ, სადაც ლეგენდად ქცეული ტყუპი ძმების, რომულუსის და რემუსის, ძველი შემოგებებაა, როდესაც ისინი, ტახტის მომავალი მემკვიდრეები, ტყეში სასიკვდილოდ გადაყრილ-განწირულები თავისი გამზდელი მგლის ძუძუს სწოვენ ჩვილობისას. კაპიტოლიუმის მეორე მხარეს იმ კიბეებით ვეშვებით, რომლებიც არა მარტო შენობებითა და ქანდაკებებით იწონებს თავს, არამედ აბიზინებულ სხვადასხვა ფერის ყოჩივარდებით (ნუ დაივიწყებთ რომ იანვრის ბოლო და თებერვლის დასაწყისია), რომლებიც უზარმაზარ ლარნაკებშია განთავსებული და ადამიანებს ისტორიული ბურუსიდან დღევანდელ რეალობაში აბრუნებს.  
 მოწინება გიპყრობს **ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში** იმ ბაგის ნაწილების (ორი ფიცარი) ხილვისას, რომელშიც ქრისტე იშვა. მისი შემკულობა, ნახატები, ჩუქურთმებად ქცეული ოქრო და სიდიადე ამ ტაძრისა, სამუდამოდ რჩება ადამიანის მესხიერებაში.  
 ეს კი წმინდა პეტრეს სახელობის ტაძარი

ქალაქის ცენტრში, სადაც თვით მიქელანჯელომ შექმნა ცნობილი ქანდაკება მოსესი, რომელიც მარჯვნივ დგას, რომლითაც პეტრე იყო მიჯაჭვული პატიმრობისას.  
 ჩვენ რომის ერთ-ერთ გამორჩეულ ტაძარ-პანთეონს ვეჭვობთ. ეს ყველა წმინდანის ტაძარია, ქრისტიანული ნაგებობა, რომელიც წარმართულ ღმერთებს ეძღვნება. ის ჩვენს ნელთაღრცხვამდე მეორე საუკუნეში აშენდა, როგორც წარმართული ტაძარი, შემდეგ საუკუნეში კი ქრისტიანული ბაზილიკა გახდა. პანთეონში ცნობილი ადამიანების საფლავებია, მათ შორის რაფაელის და მეფე ვიქტორ ემანუელის.  
 რომის სავიზიტო ბარათია **კოლიზიუმი**-ძველრომაული ამფითეატრი და რომის ყველაზე ცნობილი არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც ქალაქის სიმბოლო გახდა. მისი ფართობია 188-156 მეტრზე და ყველაზე დიდი ძველრომაული ამფითეატრი მსოფლიოში. მის კედლებს ახსოვს მრავალი გლადიატორის ბრძოლა და სისხლი, სიმამაცე და თავგანწირვა, მარცხი და გამარჯვების ყიჟინა.  
 მოგზაურობის მეორე დღეა. ჩვენ ისევ რომში ვართ. დილაადრინად მოდის ჩვენი მარშრუტისთვის განკუთვნილი ავტობუსი დათქმულ ადგილზე და ჩვენი, გუშინგაცნობილი გიდი მარიანა უკვე ძველი ნაცნობივით გულთბილად გვიღიმის და გვესალმება: „ბონჯოურნო“, „დობრაია უტრა“. ჩვენი ჯგუფი რუსულენოვანია. მარიანა ოჯახთან ერთად უკვე რამდენიმე წელია, ლტოლვილია უკრაინიდან და რუსუ ენასთან ერთად იტალიურსაც კარგად ფლობს. ჯგუფში ძირითადად, საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკებიდან ჩამოსული ტურისტები არიან. ყველას რუსეთის ფედერაციიდან და უკრაინიდან ჩამოსულები სჭარბობენ. ქართველები ორნი ვართ, მე და ჩემი და. სამოცდაცხუთე უმრავლესობა 50-65 წლის ასაკშია, ამიტომ რუსულ ენას ყველა ფლობს. თუმცა, მშობლებს, ბებიებს და უფროს და-ძმას გამოყოფილი ყმანვილები და გოგონებიც არიან. ისინი მეტ სილაღეს და ხალისს გვიტაყებენ. მე ყველაზე ხანდაზმული ვარ და „ჯიბში“ ვუდგავარ ყველას, ვცდილობ (და გამომდის კიდევაც) არ ჩამოვრჩე არავის არც სიარულში, არც ცნობის-მოყვარობასა და კითხვების დასმვაში, ხანდახან კრიტიკულ შენიშვნებშიც კი. მაგალითად: როდესაც გიდი ამბობს, რომ „ოქროს საწმისი“ იაზონმა ჩამოიტანაო, მე ვაპროტესტებ და ხმამაღლა ვაცხადებ, რომ ის იაზონმა საქართველოში შედგას და ხმარებით მოიპოვა და საქართველო აუცილებლად უნდა ახსენონ ამ ეპიზოდში. ანდა ის, რომ ჩვენ ერთადერთი ერთი ვართ, რომელიც იტალიის ეროვნული გმირი ჰყავს ფორე მოსულიშვილის სახით და რომ ფორე ჩემი ბიძა იყო დედის მხრიდან. შეიძლება სხვა გიდი არ იცოდეს და ვერ გაავრცელოს ეს ინფორმაცია, მაგრამ ჩვენს გიდს და ჩვენი ჯგუფის წევრებს ეს არასოდეს დაავიწყდებათ. ესეც საქმეა!  
 ავტობუსმა გეზი **ვატიკანისკენ** აიღო. ვატიკანი, პაპის სამფლობელო, რომელიც გარშემოვლებულია გალანით. გალანის შესასვლელში ათეულობით ჯგუფი ელოდება მის რიგს, რათა შევიდეს მსოფლიოს ამ საოცარ სახელმწიფოში და საკუთარი თვალთ ნახოს ის უდიდესი ისტორიული და მატერიალური სიმდიდრე, რაც დავანებულია მის ეკლესია-მუზეუმებში. პეიჯერებით აღჭურვილები ფეხდაფეხ მივყვებით ჩვენს გიდს, რომელიც ზეადმართული სპეციალური ალმით მიგვიძღვება წინ და შეყვართ საოცრებათა სამყაროში. ცოტა ძნელიც კი არის, ერთდროულად აღიქვა კულტურის ამდენი ნიმუში-ძეგლი, ნახატი, **გაგრძელება გვ.5/**



# თბილისი - 2020 წლის საუკეთესო ტურისტული მიმართულება

**Ryanair** ირლანდიური ავიაკომპანიაა, რომელიც 1985 წელს ირლანდელმა მენარემ ტონი რაიანმა დაარსა. **Ryanair** - ის ბილეთები 178 მიმართულებით შეგიძლიათ შეიძინოთ. ეს არის მარშრუტები ევროპასა და მაროკოში, თუმცა 2019 წლიდან ავიაკომპანიამ საქართველოს ორი აეროპორტიდან დაიწყო ფრენების განხორციელება: თბილისის და ქუთაისის აეროპორტებიდან. **Ryanair**-ს ბილეთების იაფად გაყიდვის საშუალებას რეგიონული აეროპორტების გამოყენება აძლევს, სადაც არ არის მაღალი გადასახადი. **ლყანაირ**-ის ყველა ფრენა **Boeing**-ის მემკვიდრით ხორციელდება, რომელთა საშუალო ასაკი 6.6 წელია. გადამზიდავი კომპანიის საჰაერო ფლოტში 398 ლაინერია.

სწორედ ამ ამ ავიაკომპანიამ, ახლახანს საკმაოდ ვრცელი სტატია გამოაქვეყნა საქართველოს დედაქალაქზე, რომელიც ასე დაასახიანა: „მიმზიდველი ქალაქი თბილისი - ისტორია, ინტრიბა და მზაბათაღლვა პაპკასიაში“. როგორც სტატიაში ვკითხულობთ, „უბამრიკლესი სამზარეულოში, მომზიზლავი ისტორიითა და მიუწვდომელი ადგილბის სიმრავლით, სპარტივლო ევროპის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ტურისტული მიმართულებაა.“ სტატია გვეუბნება, რომ ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე განთავსებული ეს ქვეყანა, ტურისტებისთვის არ იქნება ტიპური, ჩვეულებრივი ტურისტული მიმართულება. ის ტრადიციასა და თანამედროვეობას აერთიანებს ისეთი მომზიზლავი ფორმით, რომლის დახმარებითაც თქვენ აუცილებლად

შეგიყვარდებთ არამარტო ქალაქი, არამედ მთლიანად ქვეყანა და ხალხი. სტატიაში აღნიშნულია, რომ თბილისი და მთლიანად ქვეყანა უპირველესად, მისი ასეთი ეგზოტიკური კონტინენტისპირა ადგილმდებარეობით მიგიზიდავთ. იაფი საკვები, უამრავი საზოგადოებრივი ტრანსპორტი და გონივრულფასიანი სასმელი - ეს ის ჩამონათვალია, რომლის გამოც მოგზაურობა ნამდვილად არ იქნება დიდი „დარტყმა“ ტურისტების ბიუჯეტისთვის და არც განწყობას გაუფუჭებს მათ.

**Ryanair** -ის მონაცემებით, გასულ წელს საქართველო 8.7 მილიონზე მეტ ტურისტს მიესალმა. აყვავებული ღამის ცხოვრებით, განსაცვიფრებელი ხედებით მთელს ძველ ქალაქში, უძველესი ისტორიული ადგილების ტონებითა და სათხილამურო კურორტებით, რომლებიც მხოლოდ რამდენიმე საათის სავალზე მდებარეობს, თბილისი ხდება ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი, ახალგაზრდულ დედაქალაქში. „ბერლინი გარეთ. თბილისი შიგნით“. ეს არის ის ფრაზა, რომელსაც ადგილობრივები ხშირად იყენებენ. „ქართველები ძალიან ამაყობენ თავიანთი მემკვიდრეობითა და ისტორიით (განსაკუთრებით ღვინით). საქართველომ გაუძლო სამოქალაქო ომს და რუსეთთან დაძაბულობას, რომელმაც ბევრი ტანჯვა და გაჭირვება მოუტანა ქვეყანას. მაგრამ ამ კონფლიქტების მიუხედავად, ის ერთ ერთ ცხელ ტურისტულ წერტილად იქცა. ქვეყნის ტრანსფორმაცია „შემადრწუნებელია“. 90-იანი წლების ბოლოს საქართველოში მხო-



ლოდ 100,000 ტურისტი შემოვიდა. ისინი 2020 წელს 9 მილიონზე მეტ ტურისტს ელოდებიან“ - ვკითხულობთ სტატიაში. თბილისი ახლა ევროპის ერთ-ერთ უსაფრთხო ქალაქად ითვლება და ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის მამოძრავებელი ძალად აღიქმება. ქართველები მზად არიან გამოილი ხელებით და თბილი გულით მიიღონ ყველა სტუმარი, რომ აჩვენონ მათ დედაქალაქის ულამაზესი ციხე, გოგირდის აბანოები და ადგილობრივი ბაზრები. მთანმინდის გასართობი პარკი, ნარიყალას ციხე, მშვიდობის ხიდი, საათის კოშკი და ქართლის დედა - ეს ის არასრული აუცილებლად სანახავი ადგილებია, რომელიც თბილისში უნდა ნახოთ. სტატია ასევე ეხება ჩამოსული

ტურისტების ეროვნებებს, თუ საიდან სტუმრობენ თბილისს ძირითადად, ასევე საშუალო ტემპერატურას როგორც ზამთრის ასევე საზაფხულო სეზონზე. სტატია, რა თქმა უნდა, შეეხება ქართულ სამზარეულოს, კოპულარულ რესტორნებს, ქართულ სტუმართმომყვარეობას, მის მომზიზლავლობას, სიშარბლას, ამაღლვეპლობას, სიკველეს და აფრთხილებას ბერლინს, რომ ჟურაღლბით იყოს - ტურისტული სეზონი აძტიურ ფაზაში სულ მალე შევა...

მომზადად  
შუშუნა ყანაშვილი



## ქალისმიერი სამჭიდი - წარმატებებით რინგზე

23-24 თებერვალს, ქ.თბილისში გაიმართა საქართველოს ღია პირველობა ქალისმიერ სამჭიდიში, სადაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონების გუნდებმა მიიღეს მონაწილეობა. ტურნირში მონაწილეობა მიირო ირანის გუნდმაც. შეჯიბრი საკმაოდ მოცულობითი იყო - პირველ დღეს -80 სპორტსმენი მონაწილეობდა, ხოლო მეორე დღეს -60. საკმაოდ წარმატებით გამოვიდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისა და სპორტის ცენტრის კლუბი-ლეგიონის ახალგაზრდული გუნდი, რომელიც 20 სპორტსმენითა და გადახალსებული შემადგენლობით იყო წარმოდგენილი. ახალგაზრდა სპორტსმენები იბრძოდნენ შემართებით და, მიუხედავად დიდი კონკურენციისა, მაინც კარგი შედეგები დადეს. 3-პირველი, 7-მეორე და 5-მესამე ადგილი - ეს შედეგები მოიხსნა ძირითადად -53კგ, 59კგ, 66კგ, 74 და 83კგ წონით კატეგორიებში. საპრიზო ადგილები მოიპოვეს და თავი გამოიჩინეს როგორც გამოცდილმა, ასევე ახალბედა სპორტსმენებმა. წარმოგიდგინთ თითოეული მათგანის მიღწევას: ნუკრი ქოზაშვილი (-ნოლჭიმი-2 ადგილი, სამჭიდი-1 ადგილი), ზურა ნიპომნიშვილი (ნოლჭიმი-3 ადგილი, სამჭიდი-1 ადგილი), თედო ვარდიშვილი, (სამჭიდი-1 ადგილი), ანრი ყარაულაშვილი (სამჭიდი-2 ადგილი), საბა შარმაზანაშვილი (სამჭიდი-2 ადგილი), შოთიკო ღორაშვილი (სამჭიდი-2 ადგილი), ლევან ბუჭყურაშვილი (სამჭიდი-2 ადგილი) ილია



ბატიაშვილი (სამჭიდი-3 ადგილი), დანიელ ნაროზაული (სამჭიდი-3 ადგილი), პეტრე ზაბროდინი (ნოლჭიმი-3 ადგილი, სამჭიდი-3 ადგილი), ნიკა დოლაშვილი (-ნოლჭიმი-2 ადგილი), ლევანი ხასაია (ნოლჭიმი-2 ადგილი). გამორჩევის ღირსია ახალგაზრდა სპორტსმენების-ლაშა სიმონიშვილის, ლუკა გელაძის, ანრი მარტყოფლიშვილის, ალექსანდრე ხელაშვილის, გიორგი ზურაშვილის, ნიკა ხატიაშვილის დებიუტი, რომლებსაც გადაეცათ ტურნირში მონაწილეობის დიპლომები. როგორც მთავარი მწვრთნელი, დიდ მადლობას ვუხდით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის დირექტორს აკაკი ნატროშვილს და ყველა სხვა თანამშრომელს განუული დახმარებისთვის. იმედი მაქვს, ჩვენი გუნდი ყოველთვის გაამართლებს გულშემამტკივრების იმედებს.

ბატიაშვილი (სამჭიდი-3 ადგილი), დანიელ ნაროზაული (სამჭიდი-3 ადგილი), პეტრე ზაბროდინი (ნოლჭიმი-3 ადგილი, სამჭიდი-3 ადგილი), ნიკა დოლაშვილი (-ნოლჭიმი-2 ადგილი), ლევანი ხასაია (ნოლჭიმი-2 ადგილი). გამორჩევის ღირსია ახალგაზრდა სპორტსმენების-ლაშა სიმონიშვილის, ლუკა გელაძის, ანრი მარტყოფლიშვილის, ალექსანდრე ხელაშვილის, გიორგი ზურაშვილის, ნიკა ხატიაშვილის დებიუტი, რომლებსაც გადაეცათ ტურნირში მონაწილეობის დიპლომები. როგორც მთავარი მწვრთნელი, დიდ მადლობას ვუხდით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის დირექტორს აკაკი ნატროშვილს და ყველა სხვა თანამშრომელს განუული დახმარებისთვის. იმედი მაქვს, ჩვენი გუნდი ყოველთვის გაამართლებს გულშემამტკივრების იმედებს.


პატივისცემით,  
მიხეილ სუხნიანაშვილი,  
კლუბ „ლეგიონის“ მთავარი მწვრთნელი.

## ნიკა ჩიტიშვილის კიდევ ერთი წარმატება

დასრულდა უშუს საერთაშორისო ტურნირი მოსკოვში, სადაც დედოფლისწყაროს გუნდის მებრძოლი - ნიკა ჩიტიშვილი იღებდა მონაწილეობას. ნიკამ საკმაოდ დაძაბული და კარგი ბრძოლები ჩაატარა და დიდი სიმპათიებიც დაიმსახურა. მართალია, ნახევარფინალში ნიკამ ბრძოლა წააგო და მესამე ადგილს დასჯერდა, მაგრამ მან ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია მსოფლიო ჩემპიონატის პრიოზიორს. საბოლოოდ კი, III ადგილი დაიკავა. იმის გათვალისწინებით, რომ ნიკა ასაკით უფროს სპორტსმენებს ხვდებოდა, ეს უდაოდ კარგი მაჩვენებელია. მოსკოვამდე კი ნიკამ ბათუმში იმარჯვა 2019-ის სექტემბერში, როცა უძლიერეს ინდოელ მონაწილემდგეს დაუპირისპირდა, ხოლო დეკემბერში მან საქართველოს ჩემპიონატზე გაიმარჯვა.



დედოფლისწყაროს უშუს გუნდი თანდათანობით ფეხს იკიდებს საერთაშორისო ტურნირებზე, ნიკას მსგავსად 2020-ში უკრაინაში, იანავრის თვეში, გამართულ ტურნირზე ჩვენებულებმა - ბექა გონაშვილმა და გიორგი ნიკლაურმა პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს. „ჩვენმა გუნდმა წელს 3 საერთაშორისო ტურნირის მედალი მოუტანა საქართველოს საორტს, იანვარში ბედა გონაშვილი გახდა უკრაინის ქ. ლვოვში საერთაშორისო ტურნირის ჩამაიონი, ხოლო გიორგი ნიკლაურმა მეორე ადგილი დაიკავა“ - აცხადებს გუნდის მწვრთნელი გიორგი ცისკარაული.



1955წ - თბავარალი
თებერვალში შესრულდა 10 თვე იმ მომენტიდან, როცა ცენტრალური არქტიკის ყინულზე გადავიდა საბჭოთა მეცნიერების ორი რაზმი. ორივე მოდრეიფე სადგური - „ჩრდილოეთი პოლუსი 3“ და „ჩრდილოეთი პოლუსი 4“ განუწყვეტილად ენევიან მეცნიერულ დაკვირვებას იმ ადგილებში, სადაც წინათ არასოდეს კაცი არ ყოფილა.

\*\*\*
ა.ჯავახვილიძე საბჭოთა არმიის რიგებიდან დაბრუნების შემდეგ გადაწყვიტა დაემთავრებინა სამშალო სკოლა. არც ისე იოლი საქმე იყო შვიდი წლის შემდეგ სწავლის გაგრძელება, რომელიც ნებისყოფას და სიმძნელების გადალახვას მოითხოვდა. იგი არ შეუშინდა სიძნელეს და სისრულეში მოიყვანა თავისი გადაწყვეტილება. დაბა ნითელწყაროში „საქ.წავთის“ პოლიკლინიკაში სასწრაფო დახმარების მანქანის შოფრად დაიწყო მუშაობა და თან სწავლა განაგრძო ნითელწყაროს მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში. დიდ სიძნელეს წააწყდა აპალონი სწავლის პროცესში. უფრო მეტს ისტორიასა და ქართულ ლიტერატურაში მეცადინეობდა, მაგრამ მაინც უჭირდა აღნიშნული საგნების დაუფლება. მხედველობიდან როდი გამოიჩინა ქართული ენის მასწავლებელს ე.დარჩიაშვილს ეს ამბავი. მან აპალონს გულისხმიერი

დახმარება აღმოუჩინა. მისცა მითითება ექითა მხატვრული ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები და სხვ. მასწავლებლის გულწრფელმა დარიგებამ ა.ჯავახვილიძე გაამხნევა და დიდი ინტერესით დაენახა სწავლას. ბევრი სწავლითა და მუშაობით ა.ჯავახვილიძე მოსწავლეებისა და მასწავლებლების დიდი სიყვარული დაიმსახურა. იგი მოსწავლეთა კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს. ა.ჯავახვილიძე არ ზოგავს ენერგიას და იბრძვის იმისათვის, რათა წარმატებით დაამთავროს მე-11 კლასი და სწავლა განაგრძოს უმაღლეს სასწავლებელში.

1955წ - მარტი
არბოშიკი ერთ-ერთი მოწინავე სოფელია ნითელწყაროს რაიონში. აქ დღითი დღე უმჯობესდება მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობები. უკვე ორი წელია რაც სოფელი ელექტროფიცირებულია. ყველა კოლმეურნის ოჯახში ნახავთ ელექტროგაყვანილობას, მაგრამ მოსახლეობის ელექტროდენით მომსახურებას სათანადო ყურადღება არ ექცევა. რამდენიმე თვეა სოფელს სინათლე არ აქვს, არ მოუშენია რადიო გადმოცემა, ელექტროსინათლე სოფელში მხოლოდ რამდენიმე ოჯახს აქვს, მათ შორის მონტიორებს. ამ მდგომარეობის გამო სოფლის მშრომელები სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ. საჭიროა სათანადო ორგანიზებმა ყურადღება მიაქციონ ამ არა-

ნორმალურ მდგომარეობას.
რასაც დასოს, იმას მოჰკი
სოფელ ოზანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა გასულ წელს საუკეთესოდ იმრომეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავლის მოყვანისათვის და კარგ შედეგსაც მიაღწიეს. აქ ბევრი კოლმეურნე კეთილსინდისიერად შრომობს სახალხო დოვლათის შექმნისათვის. ამ მხრივ მისაბაძია ზინა გარსენიშვილის მაგალი-



თი, რომელმაც გასულ სამეურნეო წელს გამოუშვავებულ შრომა - დღეებზე სამ ტონამდე პროდუქტი და 2364 მანეთი ფული მიიღო. მაგრამ ზოგიერთი კოლმეურნე ჯერ კიდევ აქტიურად არ მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში.

„სიმიწდა და შვესუშირას დასტრიალეს თაჟსუ ზინა, განა ერთჟერ? მერამდენდ დოვლათს დოვლათი შესძინა. შრომაში არვის ჩამოჩნა, ზირელომა მითოვლა, ბეღელში ბეგრი დასტოვა, სასლშიც ბეგრი მიიტანა. ამ სასწორზე ნათლადა წინას, ნაყოფი ზინას გარჯისა, ქვემოთ კი თელს „სიმარჯვე“, ცრემლები მწარე ტანჯვისა. სიწარმაცით მოთენთილსა, გასწინა გულის მანკი, ახლა მიხვდა მართალია: რასაც დასთეს იმას მოჰკი“

„შთავაროვის უფავად“
ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 20 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში, სოფელ არხილოსკალოს 8 წლიანი სკოლის პედკოლექტივი უკმაყოფილებას გამოთქვამდა კავშირგაბმულობის ნიტელწყაროს რაიკანტორაზე ჟურნალ-გაზეთების დაკარგვისა და დროულად ჩაუბარებლობის გამო. წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა კავშირგაბმულობის ნითელწყაროს რაიკანტორას. როგორც „სოიუზპეჩატის“ რაიორგანიზატორი ა. თეთრაული გვატყობინებს, წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. მიუხედავად ზომების, რის შედეგად გაზეთების მიტანა სოფელ არხილოსკალოში ამჟამად რეგულარულად ხდება.

# დედოფლისწყაროს ინფიცირებული არ ჰყავს!

დედოფლისწყაროში რამდენიმე დღეა აუიოტაჟი არ ცხრება იტალიიდან დაბრუნებულ ერთ-ერთ მოქალაქესთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა საფრთხის შემცველი ყოფილიყო სხვა ადგილობრივებისთვის.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ირწმუნება, რომ იტალიიდან დაბრუნებულ მოქალაქეზე დაკვირვება მიმდინარეობს, არაერთი კვლევა ჩატარდა და ის თავს კარგად გრძნობს, სიმპტომები არ აღენიშნება.

„დედოფლისწყაროს მოქალაქეები, რომლებიც მოგზაურობის ისტორიის გამო თვითიზოლაციაში იმყოფებოდნენ, დღეის მდგომარეობით არიან ჯანმრთელები, მათ შორის მერაბ სიბაშვილიც. მოსახლეობის მაღალი ინტერესიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ თვითიზოლაციის პერიოდის დამთავრებიდან კიდევ რამდენიმე დღე აღნიშნულ მოქალაქეს ვუტარებდით თერმომეტრიზაციას. მას არ აქვს არანაირი ჩივილები და არის ჯანმრთელი,“ - ნათქვამია ჯანდაცვის ადგილობრივი ცენტრის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. „დედოფლისწყაროში დღეის მდგომარეობით კორონავირუსით

დაავადებული მოქალაქე არ გვყავს. მეგობრებო პანიკის საფუძელი არ გაქვთ. გთხოვთ ნუ ავრცელებთ ცრუ ინფორმაციას,“ - აღმნიშნავს ეპიდემიოლოგი ლალი ალაღაშვილი. სოციალურ ქსელში დედოფლისწყაროელების მისამართით მიმართვას ავრცელებს იტალიიდან დაბრუნებული ახალგაზრდის დედა მანა ნატროშვილიც:

„მივმართავ დედოფლისწყაროს მოსახლეობას. ჩემი შვილი სამი კვირის უკან ნეაპოლიდან დაბრუნდა დედოფლისწყაროში და გაიარა აეროპორტში შესაბამისი შემოწმება. უფლის მადლით, ის ძალიან კარგად გრძნობს თავს. ადგილობრივი ჯანდაცვა-საქმის კურსშია, რომ ბიჭი ჯანმრთელია. გავრცელდა ცრუ ინფორმაცია ჩემი შვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. კატეგორიულად მოვითხოვ, შეწყვიტეთ დეზინფორმაციის გავრცელება. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღვძრავ სისხლის სამართლის საქმეს ადამიანის უფლებების დარღვევისა და მორალური ზიანის მიყენებისთვის,“ - აღნიშნავს მანა ნატროშვილი.

12 მარტის მონაცემებით, კახეთის რეგიონის 8 მუნიციპალიტეტში თვითიზოლაციაში 74 პირი იმყოფება. ეს ადა-

მიანები საქართველოში ჩამოვიდნენ იტალიიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან და ესპანეთიდან. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის, კახეთის განყოფილების უფროსის, ნელი ხიზანიშვილის თქმით, მოქალაქეები თვითიზოლაციაში ზემოთაღნიშნულ ქვეყნებში მოგზაურობისა და ცხოვრების გამო არიან, რადგან კორონავირუსისთვის დადგენილი საინკუბაციო პერიოდი მათთვის არ არის გასული. ახმეტაში თვითიზოლაციაში იმყოფება 14 პირი, გურჯაანში-8, დედოფლისწყაროში 1, თელავში 14, ლაგოდეხში 7, საგარეჯოში 13, სიღნაღში 11, ყვარელში კი 6. „ნებისმიერი დარღვევის დროს პოლიცია დაგვეხმარება საკითხის მოგვარებაში. ერთხელ გაფრთხილების შემდეგ, თუ პირი კიდევ დაარღვევს თვითიზოლაციის წესებს, ის გადაყვანილი იქნება კარანტინში. ამ დროისთვის არავის არ დაურღვევია ეს წესი, რადგან თავდავე ხედავენ რა მდგომ-



მარობა ქვეყნებში და ფრთხილობენ“ - განაცხადა ხიზანიშვილმა. ნელი ხიზანიშვილის თანახმად, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი აქტიურად მუშაობს საქართველო-აზერბაიჯანის ლაგოდეხის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზეც. მისივე თქმით, ორი დღის წინ საზღვარზე შემოსვლის მსურველი 15 ადამიანიდან 12 პირს უფიქსირდებოდა მაღალი ტემპერატურა, რის გამოც ისინი არ შემოუშვეს.

## გივი მარგველაშვილი გარდაიცვალა

13 მარტს, 92 წლის ასაკში, ქართველი გერმანულენოვანი მწერალი და ფილოსოფოსი გივი მარგველაშვილი გარდაიცვალა. გივი მარგველაშვილი 1927 წელს დაიბადა ბერლინში-ქართველი ფილოსოფოსისა და ისტორიკოსის, ტიტე მარგველაშვილის ოჯახში, რომელიც საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გერმანიაში გადასახლდა. 1945 წელს გივი მარგველაშვილი მამასთან ერთად საბჭოთა უშიშროებამ გაიტაცა გერმანიის საბჭოთა სექტორში, საიდანაც ისინი საქართველოში გადმოიყვანეს. ტიტე მარგველაშვილი მალევე დახვრიტეს, მის 18 წლის შვილს კი უფლება მისცეს საქართველოში, ნათესაებთან ეცხოვრა. გივი მარგველაშვილმა მხოლოდ 80-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა კავშირში დაწყებული „პერესტროიკის“ შემდეგ შეძლო ბერლინში დაბრუნება. 2011 წელს მწერალი ისევ თბილისში დაბრუნდა საცხოვრებლად. 1991-1992 წლებში გერმანიაში გამოქვეყნდა გ. მარგველაშვილის მრავალტომიანი რომანის, „კაპიტანი ვაკუში“, 2 ტომი (1-ლი ტომი თარგმნილია ქართულად კარლო ჯორჯანელის მიერ), აგრეთვე რომანები „მუცალი“ (ქართულად თარგმნა მანა ბადრიძემ), „დიდი კორექტურა“, პროზაული კრებულები „გადაუგდებელი ხელთათმანი“, და „სიცოცხლე ონტოტექსტი“.

შვილები: იზოლდა, ნათელა, ავთანდილი, ნანა; სიძეები: მურთაზ ნაროზაული, მერაბ ფიროსმანაშვილი, რძალი ლია ბალხამიშვილი. შვილიშვილები: ნინო, თეონა ჯავახვილები, მარიამ ნაროზაული. დები: ბარინა, ფეოდორა, ეკატერინა შახბაზოვები, ძმა ვიქტორ შახბაზოვი; დისშვილები, ძმისშვილები, შვილთაშვილები იუნყებიან

**ელიზავეტა კონსტანტინეს ასულ ავციანურის**

გარდაცვალებას. დაიკრძალა 12 მარტს, 2 საათზე დედოფლისწყაროში, ხორნაბუჯის ქ. N 25.

მეზობლები: ჯემალ კოტაშვილი, გია გონაშვილი, ნონა ნიკოაშვილი, ნანა ყაზარაშვილი, დათო რიბიტაშვილი, სოსო გოგაშვილი, ომარი ალადაშვილი, გენადი ნასრაშვილი, მარინე კაკალაშვილი, გიორგი გონაშვილი ოჯახებით იუნყებიან

**ალიკა სულაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სოფლის მეურნეობის ყოფილი სამმართველოს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნანა ავციანურს დედის

**ლიზა ავციანურის**

გარდაცვალების გამო.

სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლის 1961 წლის კურსდამთავრებულები თანაგრძნობას უცხადებენ ნანა სულაშვილს შვილის

**ნატო გულაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მისი ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

# იტალია-მსოფლიო კულტურის ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი შექმნის

მე-5 გვერდიდან/

შიდა მორთულობას და მხატვრულ მარგალიტს-მიქელანჯელოს „ქრისტეს დატირება“. ტაძართან მოქმედებს მუზეუმი, სადაც ნახავთ მიქელანჯელოს „პიეტას“, დონატელოს მარია მაგდალინელის ხის ქანდაკებას, გიბერტის „სამოთხის კარებს“ და სხვა მრავალს. ფლორენციის საუკეთესო ხედების ნახვა თუ გსურთ, უნდა ეწვიოთ მიქელანჯელოს მოედანს, სადაც მისი „დავითის“ ასლი დგას.

ამასობაში შუაღლე გადავიდა და ჩვენ ფლორენციიდან ვენეციისკენ ავიღეთ გეზი. მართალია, იტალიის ქალაქების შიდა გზები, ძირითადად, სულ ქვითაა მოკინცული, მაგრამ საქალაქთაშორისო ტრასები ისეთი ხარისხიანადაა მოასფალტებული, რომ ტრანსპორტის მოძრაობას ვერცკი გრძნობ. იტალია, ზოგადად, გორაკ-ბორცვიანი ქვეყანაა. ამიტომ, გზის შესამოკლებლად, ბევრგან გვირავთ გაჭრილი. ყველაზე გრძელი გვირავი, რომელიც 12 კილომეტრი სიგრძისა იყო, სწორედ ვენეციისკენ მიმავალ გზაზე გავიარეთ და ღამის გასათევად ვენეტოში გავჩერდით. ეს ვენეციამდე ორმოცდაათი კოლომეტრია. დილაადრიან სასტუმროში საუზმის შემდეგ, ვენეციისკენ გავემგზავრეთ, შევედით პორტში, იქიდან კატერებით გავემართეთ „არხების ქალაქისკენ“, რომელიც 118 პატარა კუნძულზეა გაშენებული და ერთმანეთისაგან არხებითაა გამოყოფილი. „ადრიატიკის ზღვის დედოფალი“, როგორც მას ხშირად უწოდებენ, მართლაც რომ საოცრებაა არა მარტო იმით, რომ წყალში დგას, არამედ თავისი არქიტექტურით, რენესანსის ეპოქის ხელნერა აქაც თვალწარმტაც სანახაობას გვთავაზობს. დავდივართ ქალაქის ვიწრო ქუჩებში, სადაც მხოლოდ ფეხით მო-

ნილი სანტა მარია დელა სალიუტემი, რომელიც ყველაზე დიდი გუმბათოვანი ტაძარია ქალაქში. აქვეა ტიციანის „აბრაამის მსხვერპლშენიშვა“, „დავითი გოლიათს კლავს“ და „წმინდა სულის გარდამოსვლა“. საინტერესო არქიტექტურით გამოირჩევა იეზუიტების ეკლესია სანტა მარია ასუნტა. ვენეცია დიდი კულტურული მემკვიდრეობის ქალაქია, მაგრამ აქ ყურადღება ისეთი გამორჩეული მრეწველობა იპყრობს, როგორცაა განთქმული ბურანოს მაქმანები და მურანოს ფერადი მინის წარმოება. გული დაგვწყდა, რომ, უდროობის გამო, მაქმანების მუზეუმი ვერ ვნახეთ, სამაგიეროდ, სპეციალურად ტურისტებისთვის მონიშნულ ფერადი მინის მინი-სამუშაოში ვნახეთ, ერთი მუშტისოდენა მინის ნაღონისგან ოსტატმა როგორ გამოძერწა ულამაზესი ტოლჩა მხოლოდ ჩასაბერი მილის და მამის დახმარებით. მსოფლიოში ამ ერთ-ერთ მსხვილ სანარმოში ოსტატის ნოდება რომ მოგანიჭონ, ოცი წლის უწყვეტი სტაჟი უნდა გქონდეს. ქალაქში მრავლადაა ფერადი მინისგან დამზადებული საოცარი ნამუშევრების მაღაზიები, რომელთა ცქერითაც ვერ გაძლები. ქალაქში გამორჩეული საკარნავლო ფუს-ფუსი შეიმჩნეოდა, მრავლად იყიდებოდა ნიღბები და სხვა აქსესუარები, მაგრამ კორონა ვირუსთან დაკავშირებით, სავარაუდოა, ეს ტრადიციული ზეიმი გადაიდა. ვენეციამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სიმფონიური და საოპერო მუსიკის ისტორიაში, აქ დაიბადა ანტონიო ვივალდი. ვენეციით მოხიბლულებმა ღამე რომინის სასტუმროში გავათენეთ და დილით სან-მარინოსკენ გავემგზავრეთ. ეს ბოლო ობიექტია ჩვენი მოგზაურობის პროგრამაში. სან-მარინო ერთ-ერთი ჯუჯა სახელმწიფოა მსოფლიოში, რომელიც სამხრეთ ევროპაში, აპენინე-



შერაცხა წმინდა მარინის (სან-მარინი) სახელით, რომელიც ქალაქის და ქვეყნის სახელად იქცა. ქვეყნის ძირითადი ბუნებრივი რესურსი სამშენებლო ქვია, ხოლო შემოსავლის წყარო - ვაჭრობა და ტურიზმი. ქვეყნის ვალუტა ევროა. სან-მარინოს მოსახლეობა ეკონომიკურად უფრო შეძლებულია, ვიდრე იტალიელები. მას მილიონერთა ქვეყანასაც უწოდებენ. მათ იტალიისგან დამოუკიდებელი სახელმწიფო მონიშნა აქვე საკუთარი პარლამენტით და პრეზიდენტით, გერბით და დროშით ქვეყნის მთავარი დღესასწაული 3 სექტემბერია-რესპუბლიკის დაარსების დღე, რომელიც 301 წლით თარიღდება. ერთი მუხლი, რომელიც კონსტიტუციაში რესპუბლიკის პირველმა მმართველმა ჩადო, დაარსების დღიდან დღემდე უცვლელია და ასე უღერს: - მე გიტოვებთ რესპუბლიკას თავისუფალს და შეინახეთ ის ასეთვე. და ეს დანაბარები სრულდება საუკუნეების მანძილზე. სან-მარინო აქ არასოდეს არავის შემადგენლობაში არ შესულა, მის ტერიტორიაზე არ ყოფილა არც ერთი ომი, გარდა ერთჯერადი დაბომბვისა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს 1944 წელს მოახდინა ინგლისმა და მას შემთხვევითობა უწოდა. სინამდვილეში აქ ინახებოდა ფამისტების განძებული და ინგლისის სწორედ მისი განადგურება სურდა. სან-მარინოს არასოდეს დასჭირვებია თავისი საზღვრების დაცვა, ცხოვრობს მშვიდობიანად და კონფლიქტების გარეშე. ევროკავშირის წევრი არ არის, მაგრამ აქვს დადებული ხელშეკრულება, რომელიც მას განვითარების ფართო შესაძლებლობას უზენს. ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის, კულტურის, სპორტის განვითარებას. ეს ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სპორტის უამრავ სახეობებს შორის ბალეტიც სპორტის სახეობას ეკუთვნის. აქ ბუნება და გამორჩეული არქიტექტურა ერთმანეთზე საინტერესო და ულამაზესია. აღტაცებაში მოვყავართ ორიოთხს მეტრზე მაღლა მდებარე ამ ულამაზეს ქალაქს, რომლის მიხვეულ-მოხვეული ქუჩებსაც თანდათანმაღლა და მაღლა მიჰყავხარ, რომლის „მწვერვალზეც“ მრავალი არქიტექტურულად გამორჩეული შენობა, მუზეუმი და ეკლესიაა თავმოყრილი და რომლის გადასახედიდანაც მთელი სან-მარინოს რესპუბლიკა ხელისგულივით მოჩანს. ნანახს აღტაცებაში მოჰყავხარ და დატოვება აღარ გინდა, მაგრამ ჩვენი მოგზაურობა დასასრულს უახლოვდება. ჩვენ გვხვს ისევ რომისკენ ვიღებთ, რადგან უკან, სამშობლოში დაბრუნება რომი-ქუთაისის მარშრუტითაა განსაზღვრული. ამ მოგზაურობის დროს გზად ვხვდებოდით სოფლებს, სავარგულებს, ლარივით გადაჭიმულ ვენახებს, რომელიც ჩვენებურად სამხაზიან მავთულის ზოლს წარმოადგენს და თითქმის ჩვე-

ნებურადვე გასხლული. რელიეფი გორაკბორცვიანია და მაქსიმალურადაა დამუშავებული. ნიადაგი ღია ფერია და დასერილია მოსარწყავი მცირე არხებით. ისეთი დამრეცი ფართობებია გადახსულ-დამუშავებული, რომ იქ მძლავრი და დიდი მოცულობის ტექნიკა ვერ შეძლებს მუშაობას. ამიტომაც, რომ სოფლის მცხოვრებთა ეზოები საგზა მინი-ტექნიკით, რომელიც, როგორც ჩანს, პირად საკუთრებაში აქვთ. სოფლის მონიშნა ქალაქის ტიპისაა - სწორხაზოვანი ქუჩები, ორ-სამსათუღიანი სახლები როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფები. გასრულდა ერთი კვირა. ხვალ დავბრუნდებით საქართველოში და თან მოყვება ამ ნანახთა განცდილი უდიდესი აღტაცება, გაცემა და სიამოვნება. თითქმის ერთი თვეა, რაც დავბრუნდით და ვერ კიდევ ვერ გამისიგრძეგანებია ყოველივე. იტალია საოცრებაა თავისი კულტურული ძეგლებით, არქიტექტურით, ფერწერით, უნიკალური წარსულით, რომლის გადმოცემაც სიტყვით ძალიან ძნელია. მეც გამიჭირდა, ჩემი შთაბეჭდილებების მეხადი ნაწილიც ვერ გადმოგვცით, ეს საკუთარი თავით უნდა ნახო. საბჭოთა კავშირის მრავალი ქალაქი მაქვს თავის დროზე მოვლილი - მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, რიგა, ვილნიუსი, ბაქო, ერევანი, იქაც ბევრი კარგი რამ მინახავს, მაგრამ მსოფლიოში უამრავი რამ არის სანახავი-ძველი თუ ახალი კულტურები. ამ სანახაობაზე ძვირფასი განძი არ არსებობს. ამიტომ, ადამიანი მთელ თავის შესაძლებლობას უნდა იყენებდეს, მიიღოს ის უდიდესი სიამოვნება, რასაც მოგზაურობა იძლევა. და ეს სიამოვნება სრულყოფილად რომ შეიგრძნო, პირველი პირობა ისწავლონები. ჭეშმარიტებაა, რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო. გამორჩეულად მოუწონებ ახალგაზრდებს, ისწავლონ ენები, დაემურონ ბავშვობის ასაკში არსებულ შესაძლებლობებს, ისწავლონ ენები, დაემურონ ბავშვობის ასაკში არსებულ შესაძლებლობებს, მოემზადონ მსოფლიო მოქალაქეობისათვის, რაც დიდ ასპარეზს გადაშლის მათ ცხოვრებაში. თუმცა, არასოდეს დაკარგონ ეროვნულობა. ეს ორი თავსებადობაა ადამიანის სრულყოფისთვის, რადგან მოგზაურობა არამარტო სიამოვნებაა არამედ განვითარების აუცილებელი საფეხი. შენაღწევა ჩამოყალიბება, შენი და სხვისი დადებითი და უარყოფითი შედეგები - შეფასება და სხვა ბავშრის რამ. ამიტომ, იმოგზაურეთ, თუ არის შესაძლებლობა მოგზაურად. კიდევ ერთხელ დიდი გადმოგა ჩამს შვილავს ამ დიდი სიამოვნებისათვის.



სიარულეები გვხვდებიან, სადაც ქუჩებს სახელწოდებები არ აქვთ, აქ ბინებია დანომრილი. შენობები, რომელიც წყალში დგას უმთავრესად, აგურითაა ნაშენი და საოცრებაა, რომ საუკუნეებია, ეს ხავს-მოკიდებული აგურები არც იშლება, არც იფლინდება. გონდოლებით მივსეირნობთ ქალაქში და პატარ-პატარა, უთვალავ ხილში გავლისას, მათი ინდივიდუალობა და სილამაზე გვაოცებს. ქალაქის წყლებში ულამაზესი ტაძრები დგას, სადაც ბელინის, ტინტორეტოს, ტრევეზანის და სხვათა ნამუშევრები იპყრობენ ჩვენს ყურადღებას. ლუკა ჯორდანოს სამი უნიკალური საკურთხეველია წარმოდგე-

ბის ნახევარკუნძულზე მდებარეობს და იტალიის ანკლავს წარმოადგენს. იგი ზღვაზე გასასვლელის არმქონე სახელმწიფოა, რომლის ფართობი სულ რაღაც 61 კვადრატული კილომეტრია, ხოლო მოსახლეობა - 32576. სახელმწიფო ენა იტალიურია. ძირითადი რელიგია კათოლიციზმია. სახელწოდება მომდინარეობს დაღმაცხელი ქვისმთელის მარინიუსისაგან, რომელიც ქრისტიანული სარწმუნოების გამო იღვევებოდა სამშობლოში და გაიქცა მეზობელ იტალიაში. აქ მან დააარსა სამლოცველო, შემდგომში კი აქ ააგო ციხე-სიმაგრე. მოგვიანებით კათოლიკურმა ეკლესიამ იგი წმინდანად

<b>ამინდი</b>		<b>დედოფლისწყარო</b>		<b>სურამი</b>		<b>კვირა</b>	
ორშაბათი 16.03 დღე	სამშაბათი 17.03 ღამე	ოთხშაბათი 18.03 დღე	ხუთშაბათი 19.03 ღამე	პარასკევი 20.03 დღე	შაბათი 21.03 ღამე	კვირა 22.03 დღე	კვირა 22.03 ღამე
7°	4°	0°	-1°	-2°	0°	-2°	1°
გამომცემელი შპს „შირაპი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი		სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ჭანჭავაძე (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჭანჭავაძე (ოფის-მენეჯერი); მზია ქანჭავაძე (დისტრიბუტორი).		რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)		რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.	
წერილში მოყვანილ ფაქტებს და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.		გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაპის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.					